www.be.ch/corona-impfung

**გაცემულია 20.01.2022**

# კორონავირუსი: ინფორმაცია mRNA-ვაქცინაციის შესახებ ბერნის კანტონში

**ვაქცინაცია ნებაყოფლობითია და უფასოა, თქვენ გესაჭიროებათ 2 mRNA ვაქცინაცია 4-6 კვირის ინტერვალით.**

**შემიძლია ავიცრა?**
დიახ, თუ თქვენ:
- › უკვე შეგისრულდათ 5 წელი
- › არ აღგენიშნებათ ტემპერატურის მატება და COVID-19-ის სხვა სიმპტომები
- › არ გაქვთ ალერგია ვაქცინაში შემავალი ინგრედიენტების მიმართ
- › არ ხართ იზოლაციაში ან კარანტინში
- › ორსულობის მე-12 კვირიდან

ალერგიის შემთხვევაში, ვაქცინაზე მძიმე რეაქციების მქონე და იმუნოსუპრესიის მქონე პირებმა ვაქცინაციამდე უნდა მიმართონ პირად ექიმს.

12-15 j.

**რა უნდა გავითვალისწინო, თუ 12-დან 15 წლამდე ასაკის ვარ?**
მოზარდებს, რომლებსაც გააჩნიათ განსჯის უნარი, არ არის აუცილებელი, ვაქცინაციის დროს ახლდეთ მშობელი ან მეურვე.

**როგორ ვიმოქმედო?**
ნებისმიერ, 5 წელს გადაცილებულ პირს შეუძლია გაიაროს რეგისტრაცია და დაჯავშნოს ვიზიტი ვებ-გვერდზე: **https://be.vacme.ch**

**როგორ მუშაობს Walk-In-შეთავაზება?**
დარეგისტრირდით ვებ-გვერდზე **https://be.vacme.ch** ვიზიტის დაჯავშნის გარეშე და ეწვიეთ Walk-In-შეთავაზების მქონე ვაქცინაციის დაწესებულებას სამუშაო საათებში.
თუ ინტერნეტთან წვდომა არ გაქვთ, მიბრძანდით Walk-In-შეთავაზების მქონე ვაქცინაციის ადგილას, სადაც დაგეხმარებიან რეგისტრაციაში.

**სად შემიძლია ავიცრა?**

**Kanton Bern**
**Canton de Berne**

www.be.ch/corona-impfung

**გაცემულია 20.01.2022**

# კორონავირუსი: ინფორმაცია ჯონსონით (Johnson&Johnson)-ვაქცინაციის შესახებ ბერნის კანტონში

**ვაქცინაცია ნებაყოფლობითია და უფასოა. თქვენ გესაჭიროებათ მხოლოდ 1 აცრა COVID-19-ჯონსონის ვაქცინით.**

**შემიძლია COVID-19-ჯონსონით ავიცრა?**

დიახ, თუ თქვენ:

> უკვე შეგისრულდათ 18 წელი
> არ აღგენიშნებათ ტემპერატურის მატება და COVID-19-ის სხვა სიმპტომები
> არ გაქვთ ალერგია ვაქცინაში შემავალი ინგრედიენტების მიმართ
> არ ხართ იზოლაციაში ან კარანტინში

ალერგიის შემთხვევაში, ვაქცინაზე მძიმე რეაქციების მქონე და იმუნოსუპრესიის მქონე პირებმა ვაქცინაციამდე უნდა მიმართონ პირად ექიმს.

**ვინ არ უნდა აიცრას COVID-19-ჯონსონის ვაქცინით?**

> განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ადამიანები
> ფეხმძიმე და მეძუძური ქალბატონები

**როგორ ვიმოქმედო?**

ნებისმიერ 18 წელს გადაცილებულ პირს შეუძლია გაიაროს რეგისტრაცია და დაჯავშნოს ვიზიტი ვებ-გვერდზე: **https://be.vacme.ch/**. გთხოვთ, აირჩიოთ Covid-19-ჯონსონით ვაქცინაციის ადგილი.

**არავითარი Walk-In-შეთავაზება**

**სად შემიძლია ავიცრა?**

**სერტიფიკატის მოქმედების ვადა**

COVID-19-ჯონსონით ვაქცინაციის შემდეგ, სერტიფიკატი ძალაშია ვაქცინაციიდან 22 დღის შემდეგ.